22/08/2024

MES 1 24 0001001512

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)** წევრები:
**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**პეტრე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**მორის დანდურიშვილი** - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
**ნატო გაბოშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
**შალვა მეკრავიშვილი** - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)** წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ქეთი მუთიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესი:**

რუსუდან ბოლქვაძე - სკოლის დირექტორი

**სსიპ - იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლა:**
მურად ჯიშკარიანი - სკოლის დირექტორი

**სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლა:**
ნინო მელქოშვილი - სკოლის დირექტორი

**სსიპ - ნიკოლოზ (ნიკო) კეცხოველის სახელობის ქალაქ გორის №1 საჯარო სკოლა:**
ეკატერინე აფხაიძე - სკოლის დირექტორი

**ა(ა)იპ - ცისარტყელა**
დავით დუჩიძე – გამგეობის თავმჯდომარე

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესი:**
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინათინ ალავიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლა:**
ა) ია სოხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნესტან გიგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლა:**
ა) ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია შამუგია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ნიკოლოზ (ნიკო) კეცხოველის სახელობის ქალაქ გორის №1 საჯარო სკოლა:**
ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამრიკო ბასილაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირმა ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**ა(ა)იპ - ცისარტყელა:**
ა) თეონა ყაჭეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 12 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1.შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2.შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3.სსიპ - იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - ნიკოლოზ (ნიკო) კეცხოველის სახელობის ქალაქ გორის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.ა(ა)იპ - ცისარტყელას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

საბჭოს გადაწყვეტილებით დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-ელი და მე-2 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგანაც შეეხებოდა ერთი სკოლის პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებს.

**1.შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;**

**2.შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12 ივლისს, რომლის საფუძველი იყო

დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადები. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება.ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა N10-ში, სადაც ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, დაწესებულება ითხოვდა ქ. თბილისში, მარსელის ქ.N2-ში მდებარე ფართის დამატებას, სადაც განახორციელებდა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე 748 მოსწავლე იყო.

ექპერტის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 30 ნოემბრის #1526030 გადაწყვეტილების შესაბამისად, სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 750 მოსწავლით, თუმცა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში სწავლის მსურველ მოსწავლეთა მიმართვიანობა იყო გაზრდილი და სხვადსხვა კლასში სწავლის გაგრძელების მსურველ მოსწავლეთა მიღება ვერ ხერხდებოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ დაიმატა კიდევ ერთი შენობა ნაგებობა და შესაბამისად, სკოლას ჰქონდა სურვილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა გაზრდილიყო კიდევ 130 მოსწავლით.

ექსპერტმა ისაუბრა შეფასების პროცესში გამოვლენილ გარემოებებზე. მან აღნიშნა, რომ მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულება არ იყო გაფორმებული შესაბამისი სტატუსის მიხედვით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174 ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, ასევე 2020 წლის შემდეგ მიღებულ მასწავლებლების პირად საქმეში არ იდო ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და სკოლას ჰყავდა პროფესიული განათლებით დასაქმებული სამი მასწავლებელი, რომლებსაც არ ჰქონდათ გავლილი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ასევე სკოლის მიერ ახლად შეძენილი შენობა, რომელშიც სკოლის წარმომადგენლის განმარტებით უნდა ესწავლათ საბაზო დასაშუალო საფეხურის მოსწავლეებს არ იყო შემოღობილი და მდებარეობდა სამანქანო გზის მომიჯნავედ. სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსები: სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გადანაწილებული იყო N1 და N2 შენობაში. შესაბამისად, აღნიშნული რესურსებით სარგებლობისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს მოსწავლეებს მოუწევდათ სამანქანო გზის გადაკვეთა. სკოლაში ასევე არ გამოიყენებოდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა და ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგი.

ექსპერტის განცხადებით სკოლამ, ითანამშრომლა ექსპერტთა ჯგუფთან და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზების უმეტესობა უკვე გამოსწორებული იყო, შესაბამისად მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „მეტწილი“ შესაბამისობით იყო შეფასებული ასევე მესამე სტანდარტის 3.1 კომპონენტი. დასკვნის პროექტში დახარვეზებული ინდიკატორები 3.1.2.1, 3.4.1.1, 3.6.2.2 და 3.6.3.5 შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი, ხოლო ინდიკატორი 3.1.2.4. შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო

რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულების ეტაპებით, რომელიც ეხებოდა სკოლის მხრიდან მუსიკისა და სპორტის მასწავლებლების მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად დასაქმებას და მიმართა სკოლის წარმომადგენელს მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოსთვის.
სკოლის დირექტორმა, რუსუდან ბოლქვაძემ, აღნიშნა რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია აღნიშნულ პოზიციებზე რომლის ვადაც იყო 15 აგვისტო. ვადის გასვლის შემდეგ დაიწყებოდა გასაუბრებები თუმცა პირველადი შეფასების შედეგად უკვე გამოკვეთილი ჰყავდათ შესაბამისი კადრი. დირექტორის განცხადებით, სკოლა მოცემულ საკითხს მოაგვარებდა 25 აგვისტომდე. დირექტორმა ასევე განაცხადა რომ სკოლა ამავე ვადაში უზრუნველყოფდა ექთნის აყვანას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი;
2. 2. შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 880-ით გაზრდის საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
**დაწყების დრო:** 16:20.
**დასრულების დრო:** 16:25

**კენჭისყრის შედეგები:**

1. **მომხრე**- 10
   **წინააღმდეგი** - 0

2. **მომხრე**- 10
   **წინააღმდეგი** - 0

1. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ $25^2$ -ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესის (ს/კ:208217375) მიერ ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. 10.N1 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. 10.N1<br><br>ქ. თბილისი, მარსელის ქ.N2 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი თბილისი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. 10.N1<br><br>ქ. თბილისი, მარსელის ქ.N2 |

**2. გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 2 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესის (ს/კ:208217375) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 880-ით.

**3. სსიპ - იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია სოხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლაშიავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 20 და 21 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N58-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2100 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2100-მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ია სოხაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ასევე გააზიარა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა. ია სოხაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზეც. მისი განმარტებით, სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის განსაკუთრებით საამაყო იყო სკოლის საუკუნოვანი ისტორია. ქალაქ ქუთაისში მე-19 საუკუნის ბოლოს დაარსებული პირველი ქართული სკოლისთვის შენობა 1913 წელს გაიხსნა. სკოლას 1901 წლიდან ხელმძღვანელობდა იოსებ ოცხელი, რომლის სახელსაც ატარებდა დაწესებულება. სკოლაში დღემდე ფუნქციონირებდა 1884 წელს დაარსებული ბიბლიოთეკა, სადაც ინახებოდა მე-19 საუკუნის 60-90 იან წლებში ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, რუსულ და ლათინურ ენებზე დაბეჭდილი ლიტერატურა. აღსანიშნავი იყო სკოლის მიერ არაფორმალური განათლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის, ასევე სასკოლო საზოგადოების ინიციატივების მხარდაჭერისაკენ მიმართული ღონისძიებები. სკოლასა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის გაფორმებული არაერთი მემორანდუმი შესაძლებლობას აძლევდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საინტერესო და მრავალფეროვანი გაეხადათ როგორც სასწავლო პროცესი, ისევე არაფორმალური განათლება. მოსწავლეთა თვითმართველობის მიერ განხორციელებულ აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა და დაინტერესება იყო მაღალი, ხოლო მათი ინიციატივები სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან სრულად მხარდაჭერილი. სკოლაში დანერგილი იყო სტიპენდიანტების გამოვლენის პრაქტიკა და მოსწავლეებისთვის გაიცემოდა სამი სახის სტიპენდია: იოსებ ოცხელის სახელობის სტიპენდია, რომელსაც აფინანსებდა თავად ოცხელის შთამომავალი, ასევე სილოვან ხუნდაძის შთამომავლის მიერ დაწესებული სტიპენდია და სკოლის დირექტორის მიერ დაფინანსებული სტიპენდია. მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში განხორციელებული იყო არაერთი საინტერესო აქტივობა, სადაც ასევე მნიშვნელოვნად იყო გამოკვეთილი მოსწავლეთა დაინტერესება და ჩართულობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, განაცხადა რომ სკოლას SWOT- ანალიზში საკუთარ სუსტ მხარედ დაფიქსირებული ჰქონდა ეკონომიკური საქმიანობა. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა რას გულისხმობდნენ აღნიშნულში.

სკოლის დირექტორმა, მურად ჯიშკარიანმა, განაცხადა რომ ამ კონკრეტულ საკითხში იგულისხმებოდა სკოლის ადგილობრივი შემოსავლები, რის ნაკლებობაც განპირობებული იყო სკოლის არასაკმარისი თავისუფალი ფართით, რომელსაც გასცემდა იჯარით და მიიღებდა დამატებით შემოსავალს.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი ასევე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას იჯარით გაცემული ბუფეტი და იყო თუ არა შექმნილი ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა მოიჯარის საქმიანობის შემოწმებას.
სკოლის დირექტორმა დაადასტურა, რომ სკოლას ჰქონდა ბუფეტი და ჰყავდა მონიტორინგის ჯგუფიც, რომელიც თვეში ერთხელ ამოწმებდა მოიჯარის საქმიანობას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა მეტი დეტალი საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ია სოხაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა რომ ვიზიტის პერიოდში სასწავლო პროცესი უკვე დასრულებული იყო, პედაგოგები მაქსიმალურად იყვნენ ჩართული მიმდინარე პროცესებში. ამასთან, სკოლაში მიმდინარეობდა წლიური გამოცდები და შექმნილი იყო შესაბამისი გარემო.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა ხორციელდებოდა თუ არა სკოლაში პროექტული სწავლება კონკრეტულად სამოქალაქო განათლების, მუსიკის და ხელოვნების მიმართულებით და რა ფაქტორმა განაპირობა მეოთხე კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმის შედარებით მწირე რესურსებით შევსება, მაშინ როცა სხვა კლასების კურიკულუმები საკმაოდ დატვირთული იყო.
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ნატო შაინიძემ, განაცხადა, რომ სკოლაში მიმდინარეობდა პროექტული სწავლება, რის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც სკოლას ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა პირველ ეტაპზე ტექნიკური ხარვეზის გამო მათი ნახვა შეუძლებელი იყო. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა აღნიშნული, რომლის წარმოდგენაც სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე უზრუნველყო. ამასთან, ექსპერტმა განაცხადა, რომ მასწავლებელმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს განხორციელებულ პროექტებსა და გამოყენებულ რესურსებზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა, ქეთევან ცირეკიძემ, განაცხადა, რომ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს ფარგლებში მასწავლებლებმა სიღრმისეულად წარმოადგინეს სახელმწიფო ენის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები, რესურსები და სხვა დეტალები, რომელსაც მოიცავდა კურიკულუმები, სკოლამ ასევე წარმოადგინა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც, რაც შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ექსპერტის განცხადებით, ფაქტზე, რომ ზოგიერთი კურიკულუმი საჭიროებდა მეტ მრავალფეროვნებას, ადგილზე გაიცა რჩევები, სკოლამ კი გამოთქვა მზაობა ახალი სასწავლო წლისთვის მათი სრულად გათვალისწინების.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2100 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
**დაწყების დრო:** 17:00.
**დასრულების დრო:** 17:05

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, შესაბამისად,სსიპ - იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 212850155) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქ. ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის ქ. N58 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქ. ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის ქ. N58 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქ. ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის ქ. N58 |

**4. სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილ-მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ყვარლის მუნიციპალიტეტის

სოფელ კუჭატანის მე-4 ქუჩა N 20-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 100 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელისო ლოლაშვილ-მერებაშვილმა განაცხადა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა ) და კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად“, მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი): დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები კი შეფასდა როგორც „მეტწილად“. მეტწილი შესაბამისობით იყო შეფასებული ასევე 2.1 და 2.2 კოპონენტები (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა იყო კეთილმოწყობილი და აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარითა და რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებს სჭირდებოდა რევიზია და დახვეწა და მიმართა ექსპერტებს მეტი დეტალი გაეცნოთ აღნიშნული საკითხის შესახებ საბჭოსთვის.

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, შაქრო ჟღენტის, განმარტებით, სკოლას მიეცა რჩევა, გამოესწორებინათ აღნიშნული საკითხი, ვინაიდან ექსპერტი თვლიდა, რომ გარკვეული ხარვეზები ნამდვილად იკვეთებოდა ამ მიმართულებით. მისი განმარტებით, სკოლის წარმომადგენელს ჰქონდა მზაობა, უახლოეს მომავალში დაეხვეწა კურიკულუმები. ამ საკითხთან დაკავშირებით, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ აქტიურად ითანამშრომლა ექსპერტთა ჯგუფთან და კურიკულუმების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნებოდა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამ განაპირობა, რომ ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეფასებული იყო მეტწილად, ხოლო დაწყებითი საფეხურის სრულად შესაბამისი.

ექსპერტის, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის, განმარტებით საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების მეტწილი შესაბამისობა გამოწვეული იყო იმით, რომ სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

სკოლის დირექტორის, ნინო მელქოშვილის განმარტებით, დაწესებულება არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე მუშაობას დაიწყებდნენ აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან, მაშინ, როცა სასკოლო საზოგადოება დაუბრუნდებოდა სამუშაო პროცესს. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები

იყენებდნენ ვირტუალურ ლაბორატორიას, ხოლო აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა ვებ-გვერდზე აესახათ სრული ინფორმაცია სკოლის ფინანსურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას მოსწავლეთა წახალისების სისტემა.
სკოლის დირექტორის, ნინო მელქოშვილის, განმარტებით, სკოლას ნამდვილად ჰქონდა მოსწავლეთა წახალისების სისტემა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლისავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 17:35
**დასრულების დრო:** 17:40

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0
**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლას (ს/კ:241558569) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი<br>კუჭატანი, მე-4 ქუჩა N 20 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი<br>კუჭატანი, მე-4 ქუჩა N 20 |
| 3 | | საშუალო | ქართული | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი<br>კუჭატანი, მე-4 ქუჩა N 20 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით**

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის აგვისტოდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა:** ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
**მონიტორინგის ფარგლები:** სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ 3.1; 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2026 წლის აგვისტოში, კერძოდ, დაასაქმოს ექიმი, უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება და დასკვნის მოპოვება და შენობის სართულებზე ШШ პირთა გადაადგილების მიზნით მოაწყოს პანდუსი.

**5. სსიპ - ნიკოლოზ (ნიკო) კეცხოველის სახელობის ქალაქ გორის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ნიკოლოზ (ნიკო) კეცხოველის სახელობის ქალაქ გორის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 13 და 14 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ გორში, აღმაშენებლის გამზირი N45-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება იმ შემთხვევაში შეძლებდა

შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის თუ კი სასწავლო პროცესი განხორციელდებოდა ორ ცვლაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მამუკა ხამხაძემ განაცხადა, რომ 1-ელი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა ) და კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად“, მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) : დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები კი შეფასდა როგორც -„მეტწილად“. მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი გარემო, ღია და დახურული სპორტული მოედნები, სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, რესურს-ოთახი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობებიდან გამომდინარე, მიმართა მუსიკის ექსპერტს, მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის, ასევე, დაწესებულებას მისცა რჩევა, კომპლექსური დავალებების შინაარსი მარტივი ენით ჰქონოდათ წარმოდგენილი მოსწავლეებისთვის.
ესთეტიკური აღზრდის ექსპერტმა, ლამარა დარახველიძემ, ისაუბრა მე-10 კლასის კურიკულუმებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა პროექტული სწავლება და მოსწავლეებთან ერთად ხდებოდა პროექტების შერჩევა, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სრულად იყო აღწერილი ის ღონისძიებები, რომელსაც სკოლა ახორციელებდა და საბოლოოდ პროექტი ფასდებოდა განმავითარებელი შეფასების სისტემით.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, რა ვითარება იყო სამოქალაქო განათლების პროექტული სწავლების მიმართულებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ირმა ბოლქვაძის, განმარტებით, სამოქალაქო განათლების მიმართულებით სკოლას ჰქონდა სხვადასხვა პროექტი განხორციელებული და ჰქონდათ შესაბამისი კლუბიც შექმნილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი მასალები ნახა, თუმცა, სავალდებულოდ შესასრულებელი პროექტების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტურად არ იყო წარმოდგენილი. სკოლის დირექტორის, ეკატერინე აფხაიძის, განმარტებით, სამოქალაქო განათლების მიმართულებით აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი, მისი თქმით, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სამოქალაქო განათლების კურიკულუმები, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი დაწესებულების მიერ განხორციელებული პროექტები.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ მათემატიკის მიმართულებით განხორციელებული პროექტებიც არ იყო დოკუმენტურად დასაბუთებული და სკოლას მისცა რჩევა, დაეხვეწათ აღნიშნული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნიკოლოზ (ნიკო) კეცხოველის სახელობის ქალაქ გორის №1 საჯაროსკოლისავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 18:30
**დასრულების დრო:** 18:40

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - ნიკოლოზ (ნიკო) კეცხოველის სახელობის ქალაქ გორის №1 საჯარო  სკოლას (ს/კ: 218016670) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი გორი, აღმაშენებლის გამზირი #45 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი გორი, აღმაშენებლის გამზირი #45 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი გორი, აღმაშენებლის გამზირი #45 |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი**

- **ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2026 წლის აგვისტოში, კერძოდ, უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, ასევე, უზრუნველყოს სკოლაში არსებული ყველა სივრცის ადაპტირება და სველი წერტილის მოწყობა ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის. ხოლო 2.2 სტანდარტთან მიმართებით, 2025 აგვისტოში კერძოდ, რაც სრულად აღჭურვოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისი რესურსებით.

**6. ა(ა)იპ - ცისარტყელას ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - ცისარტყელაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 24 და 25 ივნისს. სკოლა მდებარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ საგურამოში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 90 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90-მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლა მიჰყვებოდა შტაინერის მეთოდს „მიიღეთ ბავშვები პატივისცემით, აღზარდეთ ისინი სიყვარულით, წარმართეთ ისინი თავისუფლებისკენ“. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა მრავალფეროვანი პროექტები და ღონისძიებები, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეონა ყაჭეიშვილმა, განაცხადა, რომ 1-ელი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) და კომპონენტები 1.1 , 1.2 შეფასდა როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და კომპონენტი 3.1 შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“, მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტები შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-4 სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) კი ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტის, თეონა ყაჭეიშვილის, თქმით, დაწესებულებას მაქსიმალურად ჰქონდა ათვისებული გარე სპორტული მოედანი, სადაც ახორციელებდა სხვადასხვა განმავითარებელ ღონისძიებას. ექსპერტმა წარმოადგინა შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო კეთილმოწყობილი გარემო, ყველა საჭირო რესურსითა და ინვენტარით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, იყო თუ არა დაწესებულებაში კომპლექსური ტიპის დავალებები და შეფასებები. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, ლია კობესაშვილის განმარტებით, სკოლას ჰქონდა მარტივად შესრულებული კომპლექსური დავალებები და შეფასებები, თუმცა, მათემატიკის მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მათ პოზიციას და ამ მიმართულებით სკოლას ესაჭიროებოდა მეტი მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების შესახებ მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ნიკა უთალიშვილის, განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები, ასევე, მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში არ იყო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და ესაჭიროებოდა რევიზია. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა მზაობა და შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ხათუნა ნოზაძემ აღნიშნა, რომ სკოლას მნიშვნელოვანი სამუშაო ჰქონდა გასაწევი კურიკულუმების მიმართულებით, თუმცა, მასწავლებლებთან გასაუბრებისა და დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე აღნიშნა, რომ დაწესებულება ატარებდა მრავალფეროვან პროექტებს და სწავლება მიმდინარეობდა ეპოქების მიხედვით.
სკოლის წარმომადგენლის, დავით დუჩიძის, განმარტებით, მასწავლებლები გადიოდნენ სემინარებს დაწესებულების მეგობარ სკოლაში და მუდმივად განვითარებაზე იყვნენ ორიენტირებული, გარდა ამისა, სკოლის მიერ შედგენილი პედაგოგთა კვალიფიკაციის სქემა შეთანხმებული ჰქონდათ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, თუმცა აღნიშნულმა დაკარგა ვალიდურობა და აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლა აქტიურად მუშაობდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლას მისცა რჩევა, კურიკულუმებში მეტად გამოეხატათ სკოლის ინდივიდუალური მიდგომები.
სკოლის მასწავლებლის, მარიამ წიბახაშვილის, განმარტებით, დაწესებულება თანამშრომლობდა ვალდორფის სკოლათან და კურიკულუმების დახვეწისთვის აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა.
ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა, ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება აპირებდა სახელის შეცვლას. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლას განუმარტა, რომ აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ცისარტყელასავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 - ით განსაზღვრის საკითხი.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს N56 გადაწყვეტილების თანახმად, სკოლას

ავტორიზაცია მიენიჭა 6 წლის ვადით, შესაბამისად, დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა უსრულდებოდა 2024 წლის 20 აგვისტოს. სტატუსის უწყვეტობის მიზნით, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 12 აგვისტო. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
**დაწყების დრო:** 19:10
**დასრულების დრო:** 19:20

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად ა(ა)იპ - ცისარტყელას (ს/კ: 204441069) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 12 აგვისტო.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი N106, ნაკვეთიN061 |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ 1.2, 2.2 და 3.2 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის აგვისტოში, კერძოდ, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება და ვერიფიკაციის

დოკუმენტის ამოქმედება მითითებულ ვადაში, უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების ანგარიშის სახით გამოქვეყნება სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე, აიყვანოს შემცვლელი მასწავლებლი/კადრი რომელიც შეძლებს ძირითადი მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს ის და უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში მასწავლებელების დასაქმება კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მოთხოვნის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 19:25 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა